აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №35

2010 წლის 24 დეკემბერი

ქ. აბაშა

აბაშის მუნიციპალიტეტის გამგეობის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 22-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტისა და 43-ე მუხლის მე-2 პუნქტის, აგრეთვე „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. დამტკიცდეს აბაშის მუნიციპალიტეტის გამგეობის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამსახურის თანდართული დებულება (დანართი №1).
2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „აბაშის მუნიციპალიტეტის გამგეობის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2006 წლის 13 დეკემბრის №17 დადგენილება.
3. დადგენილება ამოქმედდეს „ნორმატიული აქტების შესახებ” საქართველოს კანონის შესაბამისად, გამოქვეყნებისთანავე.

თავმჯდომარე **დ. თოფურია**

შეტანილი ცვლილებები:

1. აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 25 თებერვლის დადგენილება №9- ვებგვერდი, 10.03.2011წ.

დანართი №1

აბაშის მუნიციპალიტეტის გამგეობის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამსახურის დებულება

მუხლი 1. განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამსახური

1. განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამსახური არის მუნიციპალიტეტის გამგეობის სტრუქტურული ერთეული, რომელიც უზრუნველყოფს განათლების, კულტურის, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა მუნიციპალური პროგრამის შემუშავებასა და განხორციელებას.
2. სამსახური თავის საქმიანობას წარმართავს მოქმედი კანონმდებლობის, გამგეობის დებულების, ამ დებულებისა და მუნიციპალიტეტის სხვა სამართლებრივი აქტების შესაბამისად;
3. (ამოღებულია - 25.02.2011, №9).

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 25 თებერვლის დადგენილება №9- ვებგვერდი, 10.03.2011წ.

მუხლი 2. სამსახურის სტრუქტურა

1. სამსახური შედგება სამსახურის უფროსისა და სამსახურის მოხელეებისაგან.
2. სამსახურის საქმიანობის ორგანიზებასა და დაგეგმვის წესს, ფორმებსა და მეთოდებს, მოხელეთა თანამდებობრივ მოვალეობებს განსაზღვრავს სამსახურის უფროსი, რომელსაც „საჯარო სამსახურის შესახებ „საქართველოს კანონით დადგენილი წესით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს გამგებელი.
3. სამსახურის უფროსის უფლება-მოვალეობები განისაზღვრება გამგეობის დებულებითა და შესაბამის სამუშაოთა აღწერილობით. უფროსის არყოფნის შემთხვევაში, მისი წარდგინებით და გამგებლის დავალებით სამსახურის უფროსის მოვალეობებს ახორციელებს სტრუქტურული ერთეულის ერთ-ერთი მოხელე;
4. სამსახურის მოხელეთა ფუნქციები განისაზღვრება გამგეობის დებულებითა და შესაბამის სამუშაოთა აღწერილობით.

5. სამსახურის მოხელეთა თანამდებობაზე დანიშვნა-გათავისუფლება ხორციელდება „საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად.

მუხლი 3. სამსახურის ფუნქციები

1. სამსახური დადგენილი წესით უზრუნველყოფს:

ა) განათლების, კულტურის, სკოლამდელი და სკოლისგარეშე საქმიანობის, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა მუნიციპალური პროგრამების შემუშავებასა და კოორდინაციას (განხორციელებას) ;

ბ) კულტურის, სკოლამდელი და სკოლისგარეშე, სპორტის დაწესებულებათა მართვის კოორდინაციას;

გ) წინადადებების შემუშავებას კულტურის, სკოლამდელი და სკოლისგარეშე, სპორტის დაწესებულებების შექმნისა და რეორგანიზაციის საითხებზე;

ე) ისტორიული ძეგლების აღრიცხვას, ინფორმაციის დამუშავებას და საჭიროების შემთხვევაში ისტორიული ძეგლების მოვლა-პატრონობის მიზნით შესაბამისი სახელმწიფო სტრუქტურებისათვის ინფორმაციის მიწოდებას; კულტურული მემკვიდრეობის სფეროში კანონმდებლობით მინიჭებული უფლება-მოსილების ფარგლებში სხვა საქმიანობის განხორციელებას;

ვ) მოქმედი კანონმდებლობებითა და მუნიციპალიტეტის სამართლებრივი აქტებით.

2. განსაზღვრული სხვა ფუნქციების განხორციელებას.

სამსახურს უფლება აქვს:

ა) მოითხოვოს და შეუფერხებლად მიიღოს მის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაცია;

ბ) საჭიროების შემთხვევაში ცალკეულ საკითხთა განხილვის, დაზუსტებისა და დამუშავების მიზნით მოიწვიოს ტერიტორიული ორგანოების, დაწესებულებების წარმომადგენლები, სპეციალისტები.

მუხლი 4. სამსახურის თანამშრომელთა უფლება-მოვალეობები

1. სამსახურის თანამშრომლებს უფლება აქვთ:

ა) უშუალო ხელმძღვანელს წარმოუდგინონ წინადადებები მათი საქმიანობის სრულყოფის შესახებ;

ბ) მიიღონ მათი მუშაობისათვის აუცილებელი კონსულტაციები;

გ) ისარგებლონ საჭირო საინფორმაციო და სხვა მასალებით; შესაბამისი ტექნიკური საშუალებებით;

დ) ისარგებლონ „საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული საჯარო მოსამსახურის სხვა უფლებებით და გარანტიებით.

2) სამსახურის თანამშრომლები ვალდებულნი არიან:

ა) შეასრულონ და დაიცვან „საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონით, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული და შესაბამის სამუშაოთა აღწერილობით განსაზღვრული მოვალეობანი;

ბ) დროულად და სრულყოფილად შეასრულონ უშუალო და ზემდგომი ხელმძღვანელების დავალებები.

მუხლი 5. დასკვნითი დებულებანი

1. სამსახურის დებულების მიღება, მასში ცვლილებების და დამატებების შეტანა ხდება „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ'' საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად.

2. სამსახურის რეორგანიზაცია, მისი საქმიანობის შეწყვეტა (ლიკვიდაცია) ხდება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 6. დებულების ძალაში შესვლა

ეს დებულება ძალაშია მისი გამოქვეყნების დღიდან.

აბაშის მუნიციპალიტეტის გამგეობის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამსახურის მოხელეთა ფუნქციები

1. სამსახურის უფროსი

1. სამსახურის საქმიანობის ორგანიზებასა და დაგეგმვის წესს, ფორმებსა და მეთოდებს მოხელეთა თანამდებობრივ მოვალეობებს განსაზღვრავს სამსახურის უფროსი, რომელსაც „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს გამგებელი.

2. სამსახურის უფროსი კანონმდებლობით დადგენილი წესით:

ა) ხელმძღვანელობს და წარმართავს სამსახურის საქმიანობას;

ბ) იღებს გადაწყვეტილებებს სამსახურის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე;

გ) განსაზღვრავს სამსახურის თანამშრომელთა თანამდებობრივ მოვალეობებს; გამგებელს

წარუდგენს წინადადებებს მოსამსახურეთა მორიგი და დამატებითი შვებულების, მივლინების, წახალისების ან დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე;

დ) ორგანიზებას უწევს და აკონტროლებს სამსახურის მიერ დაკისრებულ მოვალეობათა შესრულებას;

ე) პერიოდულად ისმენს თანამშრომლების ანგარიშს მათ მიერ გაწეული მუშაობის შესახებ;

ვ) ახორციელებს კანონმდებლობით, გამგეობის დებულებითა და სამსახურის უფროსის სამუშაოთა აღწერილობით განსაზღვრულ სხვა უფლება- მოსილებებს.

3. უფროსის არყოფნის შემთხვევაში, მისი წარდგინებით და გამგებლის დავალებით სამსახურის უფროსის მოვალეობებს ახორციელებს სტრუქტურული ერთეულის ერთ-ერთი მოხელე.

2. მთ. სპეციალისტი განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის საკითხებში

მთ. სპეციალისტი განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის საკითხებში ააიპ – აბაშის სკოლამდელი და სკოლისგარეშე სააღმზრდელო დაწესებულებების გაერთიანების, ააიპ – აბაშის ხელოვნების სკოლის, ააიპ – აბაშის კულტურის ცენტრის ხელმძღვანელებთან ერთად უზრუნველყოფს:

ა) სკოლამდელი და სკოლისგარეშე სააღმზრდელო და სასწავლო, სახელოვნებო განათლების, კულტურული მუნიციპალური პროგრამების შემუშავებას;

ბ) ხელოვნების სხვადასხვა დარგის, ფოლკლორის, ხალხური შემოქმედების განვითარებისათვის ხელშეწყობას;

გ) საბიბლიოთეკო, სამუზეუმო საქმიანობის წარმართვის ახლებური ფორმების დამკვიდრებას;

დ) კულტურული და ისტორიული ძეგლების მოვლა-პატრონობას კულტურული მემკვიდრეობის სფეროში კანონმდებლობით მინიჭებული უფლება-მოსილების ფარგლებში.

3. წამყვანი სპეციალისტი სპორტის საკითხებში

წამყვანი სპეციალისტი სპორტის საკითხებში ააიპ – კომპლექსური სასპორტო სკოლის, ააიპ – ცენტრალური სტადიონის, ააიპ – საცხენოსნო იპოდრომის ხელმძღვანელებთან ერთად უზრუნველყოფს:

ა) სპორტის მუნიციპალური პროგრამების შემუშავებას;

ბ) სტადიონების, სპორტული მოედნების, სპორტული ობიექტების დანიშნულებით ფუნქციონირებას;

გ)სპორტსმენებისა და სპორტული გუნდებისათვის შეჯიბრებებსა და ოლიმპიადებში მონაწილეობის ხელშეწყობას;

გ) ტრადიციული სპორტული სახეობების განვითარების ხელშეწყობას, ახლის დანერგვა-პოპულარიზაციას.

4. წამყვანი სპეციალისტი ახალგაზრდებთან ურთიერთობის საკითხებში

წამყვანი სპეციალისტი ახალგაზრდებთან ურთიერთობის საკითხებში უზრუნველყოფს:

ა) ახალგაზრდული ღონისძიებების მუნიციპალური პროგრამების შემუშავებას და განხორციელების კოორდინაციას;

ბ) მოსწავლე-ახალგაზრდობის თავისუფალი დროის რაციონალური, მიზნობრივი გამოყენების თვალსაზრისით, ჯანსაღი ცხოვრების დასამკვიდრებლად სკოლიგარეშე საქმიანობის ორგანიზებას;

ბ) განსაკუთრებით ნიჭიერ ბავშვთა, ახალგაზრდა შემოქმედთა წარმოჩინებას; მათი საქმიანობის ფართო საზოგადოებისათვის გაცნობას.